კოდიფიცირებული

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 422) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 40

2016 წლის 06 ივლისი,
ქ. ბათუმი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2016-2017 სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2016-2017 სასწავლო წელს სასწავლო პროცესი წარიმართოს შემდეგი ძირითადი მოთხოვნების შესაბამისად:

ა) 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სასწავლო პროცესი დაიწყოს 2016 წლის 3 ოქტომბერს და დამთავრდეს 2016 წლის 27 იანვარს (შევიდა ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 28 დეკემბრის N117 დადგენილებით);

ბ) 2016-2017 სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყებისა და წარმართვისათვის საჭირო სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაციის წარმოება ფაკულტეტებმა უზრუნველყონ 2016 წლის 26 სექტემბრის ჩათვლით (შევიდა ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 31 აგვისტოს N71 დადგენილებით);

გ) საშობაო არდადეგები გამოცხადდეს 2016 წლის 31 დეკემბრიდან 2017 წლის 7 იანვრის ჩათვლით (შევიდა ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 28 დეკემბრის N117 დადგენილებით);

დ) შემოდგომის სემესტრში ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2017 წლის 30 იანვარიდან 18 თებერვლის ჩათვლით (შევიდა ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 28 დეკემბრის N117 დადგენილებით);

ე) დამატებითი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2017 წლის 20 თებერვლიდან 25 თებერვლის ჩათვლით (შევიდა ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 28 დეკემბრის N117 დადგენილებით);

ვ) გაზაფხულის სემესტრის სალექციო-სააუდიტორიო სამუშაო დაიწყოს 2017 წლის 27 თებერვალს, ორშაბათს და დამთავრდეს 2017 წლის 17 ივნისს, ხოლო ამავე სემესტრის აკადემიური რეგისტრაცია დასრულდეს არაუგვიანეს 2017 წლის 10 მარტისა (შევიდა ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 2 მარტის N11 დადგენილებით);

ზ) გაზაფხულის სემესტრის ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2017 წლის 19 ივნისიდან 8 ივლისის ჩათვლით (შევიდა ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 28 დეკემბრის N117 დადგენილებით);

თ) გაზაფხულის სემესტრის დამატებითი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2017 წლის 10 ივლისიდან 15 ივლისის ჩათვლით (შევიდა ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 28 დეკემბრის N117 დადგენილებით);

ი) კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭება მოხდეს 2017 წლის 17 ივლისიდან 22 ივლისის ჩათვლით (შევიდა ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 28 დეკემბრის N117 დადგენილებით);

კ) 2016-2017 სასწავლო წელს სალექციო-სააუდიტორიო მეცადინეობები ჩატარდეს ყოველ დღე გარდა შაბათ-კვირისა (საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია ამ მიზნით შაბათის გამოყენება);

ლ) აკადემიური საათი განისაზღვროს 50 წუთით, ხოლო მეცადინეობათა შორის შუალედი - 10 წუთით.

2. დადგენილება საჯარო გაცნობისათვის განთავსდეს ბსუ–ს კანცელარიასთან და ფაკულტეტების დეკანატებთან თვალსაჩინო ადგილებზე, ასევე ბსუ–ს ვებ–გვერდზე და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ–ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს;

3. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს სხდომის თავმჯდომარე
პროფესორი **გურამ ჩაგანავა**